საქართველოს მთავრობის

დადგენილება №425

2023 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავდაცვის მოხალისის შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და თავდაცვის კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად:

1. შეიქმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თავდაცვის მოხალისე (შემდგომში – თავდაცვის მოხალისე).

2. თავდაცვის მოხალისის უფლებამოსილება განისაზღვრება წესდებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

3. თავდაცვის მოხალისის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ:

ა) განახორციელოს თავდაცვის მოხალისის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს თავდაცვის მოხალისის შექმნასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**